პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 84 (18926) სამშაბათი, 10 აპრილი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ლენინური შაბათობა გვიხმობს

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ლენინური კომუნისტური შაბათობის დღეს იმუშავებს 220 მქსოველი. ისინი გამოუშვებენ 26 ათასი მანეთის პროდუქციას და მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში 2100 მანეთს გადარიცხავენ.

შრომის დღესასწაულზე საწარმოს კოლექტივი იმუშავებს წლის დამდეგიდან დაზოგილი ნედლეულით, მასალებითა და ელექტროენერგიით.

შაბათობის ორგანიზებულად ჩატარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ კომკავშირელები და ახალგაზრდები. შრომის დღესასწაულზე გამოვა ორასზე მეტი ახალგაზრდა მქსოველი, ხუთი კომკავშირული ბრიგადა ამ დღისათვის შეასრულებს ოთხი თვის დავალებას.

სურათებზე: ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კომკავშირის კომიტეტში აზუსტებენ კომუნისტური შაბათობის მოწყობის გეგმის დეტალებს; 22 დაზგაზე მუშაობს ლალი ხურციძე, „წითელი შაბათობის" დღეს იგი ოთხი თვის დავალებას შეასრულებს.

გ. ბირსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კ. უ. ჩერნენკოს პასუხი

გაზეთ „პრავდის" კითხვებზე

კითხვა. როგორ აფასებთ ახლანდელ სიტუაციას მსოფლიოში? კერძოდ, არის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში პოზიტიურ ცვლილებათა რაიმე ნიშანი?

პასუხი. ვითარება მსოფლიოში, სამწუხაროდ, არ უმჯობესდება. იგი კვლავ მეტად საშიშია. და ეს იმით აიხსნება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კვლავინდებურად იმედს ამყარებს სამხედრო ძალაზე, სამხედრო უპირატესობის მიღწევაზე, სხვა ხალხებისათვის თავისი წესების თავს მოხვევაზე. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში პრეზიდენტ რ. რეიგანის მიერ ახლახან წარმოთქმულმა სიტყვამ.

თუ ვაშინგტონიდან ზოგჯერ გაისმის მშვიდობისმოყვარული რიტორიკა, მის მიღმა, რაც უნდა დიდი სურვილი გქონდეს, ვერ დაინახავ უმცირეს ნიშნებს, რომ მზად არიან ეს სიტყვები განამტკიცონ პრაქტიკული საქმეებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი სიტყვები ახალ პოლიტიკას არ ნიშნავს.

შევეხოთ ისეთ კარდინალურ პრობლემას, როგორიც არის გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტა.

იქნებ, თეთრ სახლში შეიგნეს, თუ რაოდენ საშიში და უპერსპექტივოა ეს გამალებული შეიარაღება და თავშეკავებას იჩენენ? ...

რომ არავითარი პოზიტიური ცვლილება ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაში ამ კარდინალური საკითხების მიმართ არ მომხდარა.

ჯორჯტაუნში განაცხადეს რა თავის წინანდელ გეზს, რომელსაც მიჰყვა მოლაპარაკების ჩაშლა ჟენევაში, კვლავ შემოაქვს თავისი რაკეტები დასავლეთ ევროპაში, ვაშინგტონი აცხადებს, მზად ვარ მოლაპარაკების განახლებისათვისო. მაგრამ, საკითხავია, რის შესახებ მოლაპარაკებისათვის? იმის შესახებ, თუ საბჭოთა კავშირისა და ჩვენი მოკავშირეებისათვის დამიზნებულ რამდენ და რანაირ რაკეტას განალაგებს ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში? ასეთ მოლაპარაკებას არ დავეთანხმებით.

სრულიადაც არ გვპირდება დარწმუნება, თუ რაოდენ სასარგებლოა დიალოგი, მოლაპარაკება. როგორც კი შეერთებული შტატები და მასთან პირშეკრული ნატოს სხვა ქვეყნები მიიღებენ ზომებს დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების დაწყებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისათვის, საბჭოთა კავშირი საქმეს არ დააბრკოლებს. ასეთია მოლაპარაკების რეალური გზა.

კითხვა. როგორია ვითარება შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების სხვა დარგებში?

პასუხი. შეერთებული შტა- ...

... რა ძირა ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების პროცესს, ჩაშალა მოლაპარაკება როგორც სტრატეგიული შეიარაღების, ისე ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების თაობაზე.

ჩვენი კონტაქტები ამერიკის მხარესთან აგრეთვე მოწმობს, ...

ამავე დროს ამერიკის პრეზიდენტმა ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს ოფიციალურად აცნობა, რომ მთავრობა იწყებს კოსმოსში გამალებული შეიარაღების ვრცელი პროგრამის განხორციელებას და არ აპირებს მოურიგდეს საბჭოთა კავშირს კოსმოსური სივრცის მი- ...

... თვულ სახელმწიფოს ეკისრა ვალდებულება პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი, აგრეთვე რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით გაყინოს ბირთვული არსენალები. ამისათვის საჭიროა არ არის რთული მოლაპარაკება.

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 1984 წლის 11 აპრილს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში კრემლში.

ეროვნებათა საბჭოს სხდომა გაიმართება დილის 10 საათზე.

კავშირის საბჭოს სხდომა გაიმართება დღის 12 საათზე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის შესახებ

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის მთავრობის მიწვევით სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა მიმდინარე წლის აპრილის მეორე ნახევარში.

ხარისხის დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებულნი

შეჯამებულია სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხარისხისა და მუშაობის ეფექტიანობის, სახელმწიფო ხარისხსნიშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შედეგები.

ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში — 1983 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე შრომით კოლექტივებში გააქტიურეს მუშაობა პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებში არსებული ხარისხისა და ეფექტიანობის კომისიები ოპერატიულად წყვეტდნენ ტექნიკური დონის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

ამის შედეგად შარშან რესპუბლიკის საწარმოებმა გამოუშვეს 1500 მილიონი მანეთის ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქცია, საგეგმო მაჩვენებლები შეასრულეს 105,8 პროცენტით, ზრდის ტემპმა 109,1 პროცენტი შეადგინა.

დათვალიერება-კონკურსის მოწყობის პერიოდში ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე წარდგენილია 609 დასახელების პროდუქცია, ქალაქ თბილისში დანერგილია ხარისხის მართვის 9 რაიონული სისტემა, რესპუბლიკის 650 საწარმოში დანერგილია პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები.

რესპუბლიკური გაზეთები რუბრიკით „მიმდინარეობს რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი" და სატელევიზიო გადაცემები რუბრიკით „რეპორტაჟი საწარმოდან" ...

... რამ, გორმა, მარნეულმა.

რესპუბლიკის რაიონებს შორის:

რესპუბლიკის ქალაქებს შორის:

სამინისტროთა შორის:

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა შორის:

ბათუმი

გაზრდილი ვალდებულებანი იკისრეს ლენინური შაბათობისათვის ბათუმის სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა. ამ დღეს საამქროებში და უბნებზე იმუშავებს 450 მუშა-მოსამსახურე. ისინი დეპოში შეაკეთებენ და გამოუშვებენ 13 სატვირთო ვაგონს. სარემონტო სამუშაოებს დაზოგილი მასალებისა და რესურსების ხარჯზე შეასრულებენ. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში დაზოგილია იმდენი ელექტროენერგია, რამდენიც საჭიროა იქნება შაბათობით გათვალისწინებული გეგმის შესასრულებლად. (საქ. კორ.).

— შაბათობაში, — გვითხრა ლ. ბარავკოვმა, — მონაწილეობას მიიღებს 1.000 კაცი, 930 მათგან უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე იმრომებს. ამ დღეს მკერავები გამოუშვებენ 800 ცალ ჯინსის შარვალს, რომლებიც გათვალისწინებულია კიბელი მომხმარებლებისათვის. მკერავი-მოტორისტები ხუთწლედის ფონდში 1300 მანეთს ჩარიცხავენ.

(საქ. კორ.)

ხაშური

კარგი გუნება-განწყობით დაიწყეს ხუთწლედის მეოთხე წელი ქვიშხეთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა.

მეცხოველეობის ფერმებში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წლეულს ...

გორი

საცხოვრებლო მშენებლობის სამ- ...

ჭიათური

ხონი

ზესტაფონი

ერთობლივი კვლევის მეხუთე დღე

ფრენის მართვის ცენტრი, 9 აპრილი (საკდესი). კოსმონავტები ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი, ოლეგ ატკოვი, იური მალიშევი, გენადი სტრეკალოვი და რაკეშ შარმა წარმატებით განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას „სალიუტ-7" ორბიტულ სამეცნიერო სადგურში.

წევის ექსპედიციის ეკიპაჟმა შეასრულა გეოფიზიკური გამოკვლევების კიდევ ერთი სერია „ტერას" ექსპერიმენტის პროგრამით, დღეს ფოტოგადაღება სრულდებოდა ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების მიდამოებში. წყალმარჩხ ადგილებში ნავთობგაზშემცველი რაიონების აღმოჩენის მიზნით, იკვლევდნენ ტყის მასივებსა და ტყის ნარგავებს ინდოეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, ჰიდროსამელიორაციო ვითარებას მდინარე განგის აუზში.

სამედიცინო კვლევის პროგრამის შესაბამისად, ხამუადღევს მოეწყობა ექსპერიმენტები კოსმონავტთა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლის, ადამიანის ორგანიზმზე უწონობის მავნე გავლენის პროფილაქტიკის საშუალებათა ეფექტიანობის შესახებ მონა- ...

ვიაროთ წინ საქმიან საფუძველზე, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი

რესპუბლიკის კომუნისტების წინაშე დასახული სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პროგრამის განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი შეიმუშავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც თბილისში 6-7 აპრილს გაიმართა. მან განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი ამოცანების გადაწყვეტისადმი ანალიზური, ...

საბოლოო სიტყვაში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, თავიანთ გამოსვლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა ვ. მ. არზიპოვმა, გ. დ. გაბუნიამ, ჯ. ი. პატიაშვილმა, ტ. ვ. როსტიაშვილმა, დ. ლ. ქართველიშვილმა, ს. ე. ხაბეიშვილმა, ზ. ვ. ადლეიბამ, თ. ი. მოსაშვილმა, ვ. რ. პაპუნიძემ, ლ. ა. სანაკოევმა, სხვა ორატორებმა საგულდაგულოდ გააანალიზეს ადგილებზე არსებული ვითარება, გამოავლინეს ნაკლოვანებანი, დასახეს მათი ლიკვიდაციის ქმედითი გზები.

პლენუმმა, რომელმაც პრინციპული საქმიანობის, გულახდილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის მზადყოფნა უზრუნველყონ სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა უთუო შესრულება, მთელი ძალ-ღონე მოახმა-...

მეურნეობრიობის დონე კოლექტიური შრომის ხარისხის მაჩვენებელია

დავამკვიდროთ ექსპერიმენტის ავტორიტეტი

პარტიული პასუხისმგებლობის პოზიციიდან

მუშაობის სტრატეგიული გეზი

გრძელვადიანი სამუშაო პროგრამა

მე კიდევ დამრჩა სათქმელი

მცხეთაში დამთავრდა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის პლანეტური სისტემის ნომენკლატურის სამუშაო ჯგუფის თათბირი, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიის საბჭომ და აბასთუმნის ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ მოიწვიეს.

„ზეკარიძულის" კლუბის კოტეჯ დარბაზში მასპინძლებთან ერთად მოსკოვიდან, კიევიდან, ალმა-ათიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, ნორვეგიიდან, საფრანგეთიდან ჩამოსული ცნობილი სპეციალისტები ექვსი დღის განმავლობაში უზიარებდნენ ერთმანეთს კვლევის სიახლეებს ასტრონომიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

მოსკოველმა სწავლულმა მ. მაროვმა პლანეტა ვენერას ატმოსფეროში წყლის პრობლემა გააშუქა, ამერიკელმა ტ. ოუენმა დედამიწისგარე ცივილიზაციების ძიება...

შეხვედრები მცხეთაში

● ●

პოლარიმეტრიული ატლასის შექმნისათვის ცნობილი რუსი ასტრონომის თ. ბრედიხინის სახელობის პრემიის ლაურეატის დიპლომი გადასცა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ალექსანდროვმა.

გვესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი ევგენი ხარაძე:

— ეს თათბირი უნდა შევაფასოთ, როგორც ერთობ მნიშვნელოვანი; მნიშვნელოვანი არა მარტო იმიტომ, რომ ვაწესრიგებთ ახლადაღმოჩენილი ციური სხეულებისა და მათზე ობიექტების რეგისტრირებისა და ინვენტარიზაციის (თუ ასეთ „სახაზინო" ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ) საქმეს, არამედ იმიტომაც, რომ

[illegible]

თვით ქვეყნებსა და ხალხებს შორისაც.

„მცხეთა" სახელია ერთ-ერთი მცირე პლანეტისა, ამავე დროს მცხეთა ფრიად მიწიერი ადგილიც გახლავთ, და მე ვიმედოვნებ, რომ სხდომებს შორის შუალედებში სტუმარი ასტრონომები სიამოვნებით გაეცნობიან ზოგიერთ ღირსშესანიშნაობას ამ მშვენიერი ადგილის გარშემოც და თბილისშიც.

თავის აზრს გვიზიარებს მოსკოვის მ. კელდიშის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი მიხეილ მაროვი, რომელიც პლანეტა ვენერაზე სახელწოდებათა კომისიის თავმჯდომარეობდა:

— ჩვენი პლანეტების თანამგზავრებისა და რგოლებისათვის, რელიეფის დეტალებისათვის სახელწოდებათა მიკუთვნების საკითხებზე მუშაობს. ასეთი საქმიანობა...

[illegible]

9 აპრილი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

ურყევად, თანამიმდევრულად

გამოხმაურება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს პასუხები გაზეთ „პრავდის" კითხვებზე მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია. უცხოეთის გაზეთები ბეჭდავენ საბჭოთა ხელმძღვანელის ინტერვიუს მთლიანად ან მის დაწვრილებით შინაარსს, განმარტავენ მის პასუხებს.

[illegible]

...ძღვანელის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ ვაშინგტონის მშვიდობისმყოფლურ რიტორიკაში არავითარი ნიშანწყალი არ არის იმისა, რომ იგი მზად არის თავისი სიტყვები პრაქტიკული საქმეებით განამტკიცოს". გაზეთი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა შეერთებული შტატები დაადანაშაულა იმაში, რომ აფერხებს ქიმიური იარაღის სრული

[illegible]

ლი იარაღის შესახებ მოლაპარაკებათა ჩაშლისათვის.

მსხვილი სათაურით დასავლეთ ბერლინის გაზეთი „ვარჰაიტი" პირველ გვერდზე აქვეყნებს კ. უ. ჩერნენკოს პასუხს გაზეთ „პრავდის" კითხვებზე. იგი გამოყოფს საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ „არის მრავალი შესაძლებლობა კონკრეტული საქმეებით ხელი შევუწყოთ მშვიდობისა და საერ-

[illegible]

პრობლემა, გადაწყვეტა

სატვირთო ავტომობილი ძარას იცვლის

[illegible]

განიარაღება დროის მოთხოვნაა

[illegible]

შრომა და კაპიტალი

● ინგლისი

უხეში ძალით უპასუხეს

[illegible]

● კაპიტალი

სახელმწიფო გადასახადების ტვირთი

[illegible]

რელიგია და თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა

[illegible]

14–15 აპრილი ხსოვნის დღეა

საქმე და ღვაწლი წარუშლელი

[illegible]

„მხატვრის კვირეული" გვკირდება

დღეთა ფერადოვნება

ფერადოვანი მუზა ესტუმრა თბილისს. ტრადიციულ „მხატვრის კვირეულს" მასპინძლობს დედაქალაქი. ფართო საზოგადოებრიობა ამ ხნის მანძილზე გაეცნობა ფუნჯის ოსტატთა შემოქმედებითს სიახლეებს, მოეწყობა შეხვედრები, საუბრები.

— შევეცადეთ საინტერესოდ შეგვედგინა „მხატვრის კვირეულის" წლევანდელი პროგრამა, — გვეუბნება საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ელგუჯა ამაშუკელი — 17 აპრილს გაიმართება საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, რომელიც განიხილავს მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის საკითხებს. 20 აპრილს საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნება საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ეს გამოფენა, ერთგვარად, წარმოადგენს დღევანდელი ქართული მხატვრობის სახესაც.

თხუთმეტი წელი შეუსრულდა ბავშვთა სურათების გალერეას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მხატვართა კავშირთან ერთად ოთხშაბათს, 18 აპრილს, ბავშვთა სურათების გალერეაში აწყობს საიუბილეო გამოფენას.

დღეს კი, 10 აპრილს, დაგეგმილია აქვე გაიხსნას ბავშვთა ნახატების გამოფენა „სიმწიფის მიჯნაზე". დღესვე ქართველი მხატვრები შეხვდებიან თბილისის სკოლების მოსწავლეებს.

ხვალ და შემდგომ დღეებში მხატვრები შეხვდებიან თბილისის საშენ მასალათა კომბინატის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელებს, თბილისის სამხედრო გარნიზონის მეომრებს, ქართული კინოხელოვნების მოღვაწეებს. თბილისის კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება ფილმები მხატვართა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გამოვა ერთდროული გაზეთის „მხატვრის" სპეციალური ნომერი.

კვირეულის პროგრამაშია „ღია კარის" დღე მხატვართა სახელოსნოებში, სამხატვრო აკადემიაში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, გამოჩენილი ქართველი მხატვრების მ. თოიძის, ე. ახვლედიანის, ა. ნიკოლაძის, დ. კაკაბაძის, ნ. კანდელაკის ექსპოზიციების გაცნობა მათს სახლ-მუზეუმებსა და სახელოსნოებში, შაბათ-კვირას სამხატვრო სალონებში მოეწყობა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. კვირეულის ძღვებში აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი უმასპინძლებს ლენინგრადელ კინომხატვრის მ. გაუფმან-სვერდლოვის შემოქმედებას.

მრავალფეროვანი და საინტერესოა კვირეულის პროგრამა, რომელიც წარმოაჩენს ქართული სახვითი ხელოვნების ჭეშმარიტად ხალხს, თავისთავად, მზარდ შესაძლებლობებსა და შემოქმედებითს ძიებებს.

ნ. თათილაძე.

სცენის ერთგული მსახური

„კრაზანაში" (მოზარდ მაყურებელთა თეატრში) სერჟანტის როლი იყო გ. გოგიბერიძის შესრულებით. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ... შევთავაზე ჩემთან წამოსულიყო ქუთაისის სახელმწიფო თეატრში".

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გაიოზ გოგიბერიძე 60 წლის გახდა. იგი საუკეთესო წარმომადგენელია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისა, რომელსაც ყოველთვის ამშვენებდა სასცენო ხელოვნების ცნობილ ოსტატთა სახელები. მაყურებლისათვის დაუვიწყარია საქართველოს სახალხო არტისტების იუსუფ კობალაძის, მურად ხინიკაძის, ნუნუ თეთრაძის, აკაკი მგელაძის, ხასან მეგრელიძის და სხვათა მიერ შექმნილი სცენური სახეები. ბათუმელთა „ოიდიპოს", „ოტელო", „ნოკვეთილი" და სხვა სპექტაკლები ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიის ნათელი ფურცლებია.

გაიოზ გოგიბერიძე ოცდაათიოდე წლის წინათ პირველად ენახე თომას კროგერის როლში (ცაგოის „სახლი ზღვის პირას"), მომხიბვლელ გარეგნობას, შესანიშნავ ტემბრს საოცრად ერწყმოდა მდიდარი აქტიორული შესაძლებლობანი. ამას მოჰყვა ეზოპე, კასიო, პაპო, ალუდა ქეთელაური და ათობით სხვა როლი, რომლებმაც მსახიობს აღიარება და ხალხის სიყვარული არგუნა.

გ. გოგიბერიძე სცენურ ხელოვნებას ჯერ კიდევ სიყმაწვილეში ეზიარა — 15 წლისას ბათუმის სახელმწიფო თეატრში როლი მიანდეს. შემდეგ სამამულო ომის გზებით იარა თანატოლებთან ერთად. შემდეგ ისევ სცენა. ჯერ ბათუმის, მერე თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი. 1956 წლიდან კი კვლავ მშობლიურ ბათუმის თეატრის კოლექტივს დაუბრუნდა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი გიგა ლორთქიფანიძე იგონებს: „იშვიათად მინახავს ისეთი ორიგინალური და შთამბეჭდავი ეპიზოდური როლი, როგორიც „კრაზანაში" (მოზარდ მაყურებელთა თეატრში) სერჟანტის როლი იყო გ. გოგიბერიძის შესრულებით. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ... შევთავაზე ჩემთან წამოსულიყო ქუთაისის სახელმწიფო თეატრში".

მსახიობს მაინც მშობლიური თეატრი უხმობდა. აქედან მოყოლებული იგი ცოცხლობს მშობლიური ქალაქის და თეატრის სიცოცხლით. მისი აქტიური მონაწილეობით მრავალი საინტერესო სახალხო დღესასწაული და მასობრივი ღონისძიება გაიმართა.

ასე დაძაბულ შრომაში გაილია ქვესი ათეული წელი.

სცენის ერთგულ მსახურსა და სანაქებო მოქალაქეს აჭარის საზოგადოებრიობამ ახლახან ბათუმის სახელმწიფო თეატრში საიუბილეო საღამო გაუმართა. ეს იყო არა მარტო ერთი მსახიობის, არამედ მთელი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ზეიმი, იმის ნათელი დადასტურება, თუ რაოდენ წრფელია საზოგადოებრიობის სიყვარული იმ ადამიანთა მიმართ, სულიერ და ესთეტიკურ ტკბობას რომ განიჭებენ.

მ. გორგილაძე.

სურათზე: გაიოზ გოგიბერიძე ალუდას როლში სპექტაკლში „ალუდა ქეთელაური".

საქართველოს დიზაინერთა ნამუშევრების გამოფენა

მოსკოვი. (საქინფორმი). აქ, გორკის ქუჩაზე, ტექნიკური ესთეტიკის ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ექსპოზიცია „საქართველოს დიზაინი".

მგზავრების სალონი მოხერხებული სავარძლებით, კარგად ჩაფიქრებული ინტერიერი, ბარბეფის დეკორატიული მორთულობა. ასეთი იქნება შიგნიდან წყალქვეშა ფრთიანი ხომალდი „კოლხეთი". კობტა ხომალდის ამსახველი ფოტოსურათები ყველაზე მეტ დამთვალიერებლებს იზიდავს — ბევრი მათგანი ხომ ზაფხულში კომფორტით ისეირნებს ამ ხომალდით შავ ზღვაზე.

— რესპუბლიკაში კონსტრუქტორებისა და მხატვრების თანამშრომლობა წესად გაიხადეს, — თქვა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილემ გ. პეტიძემ. — ეს წარმოების მუშაკებს ეხმარება დაამზადონ არა მარტო სასარგებლო, არამედ მოხერხებული, ლამაზი, ესთეტიკურად შესრულებული ნივთები.

გამოფენაზე წარმოდგენილია რესპუბლიკის მიღწევები როგორც მხატვრული კონსტრუირების დარგში, ისე მთლიანად ტექნიკის დარგში. აქ ნახავთ დიზაინერთა ნამუშევრების რამდენიმე ათეულ ნიმუშს, მოდელს, მათ შორის არის საწარმოო სათავსების დასალაგებელი მანქანა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სატელეფონო აპარატები, რომლებსაც აქვთ გადასატანი ნომრის ამკრეფი, ელექტრონული ხელსაწყოები და თანამედროვე კერამიკული ნაწარმი.

დიზაინერები ნივთებს ადამიანისათვის უფრო მოხერხებულს ხდიან. ერთ-ერთი ექსპონატია ელმავლის მემანქანის კაბინის მაკეტი. მხატვრული კონსტრუქტორების საშუალებით ინჟინრებმა მიაღწიეს იმას, რომ მემანქანის რთულ სამუშაოს ადგილებს კომფორტული სავარძელი, მარჯვედ არის მოთავსებული მართვის პულტიც.

გამოხმაურებათა წიგნი კი ივსება მოსკოველთა შთაბეჭდილებებით.

— არ ვნანობ, რომ შემოვიარე ცენტრის საგამოფენო დარბაზში, — წერს საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის მსახიობი ე. სიბილევი, — ექსპოზიცია მოწმობს საქართველოს საკონსტრუქტორო და ესთეტიკური აზროვნების ძალზე მაღალ დონეს.

ფიქრის თარო

ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები

„საბჭოთა საქართველომ" გამოსცა პროფესორ ალექსანდრე ღლონტის ახალი წიგნი „ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები" (რედაქტორი ნ. ასათიანი).

მონოგრაფიაში, რომელიც შვიდ თავს შეიცავს, ქრონოლოგიურად განხილულია ლექსიკოგრაფიული მუშაობა ძველ საქართველოში, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი" და მისი გამგრძელებლების ძიებანი, ახალი განმარტებითი ლექსიკონები, ძველი და საშუალო ქართულის ძეგლთა ლექსიკონები, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, თანამედროვე ქართული ენის განმარტებითი და დიალექტიკური ლექსიკონები, ტერმინოლოგიური მუშაობის გამოცდილება. წიგნში სპეციალური კვლევის საგნად პირველად არის ქცეული მდიდარი უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფაქტობრივი მასალა. იგი მკითხველს საინტერესო ინფორმაციას აწვდის ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების გზების შესახებ. ამ მინაარსის ნაშრომი დღემდე არ გვქონია. მონოგრაფიაში სისტემურად არის განხილული ქართული ლექსიკოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. იგი ახალი მასალითა და დებულებებით ამდიდრებს ჩვენს მეცნიერებას („კომუნისტის" კორ.).

● ●

ახლახან გამომცემლობა „ხელოვნებამ" დასტამბა ირაკლი გოგოლაურის წიგნი „დუშეთის სახალხო თეატრი" (რედაქტორი ჯ. ბურდული), რომელიც ეძღვნება დუშეთის თეატრის 100 წლისთავს. ავტორი შეეცადა წარმოედგინა დუშეთის სულიერი ცხოვრების ერთი საინტერესო მხარე თავისი საუკუნოვანი ტრადიციით. გამოუქვეყნებელი, დღემდე უცნობი სურათებითა და დოკუმენტებით გამდიდრებული წიგნი რეალურ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს დუშეთის სახალხო თეატრის წარსულისა და დღევანდელობის შესახებ.

გამოუწერეს... ბაროკამერა

ჯანმრთელობის სამსახურში

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სამედიცინო-სანიტარული ნაწილი მარტო რიგითი ნომრით როდია პირველი ქალაქში. საქართველოს საწარმოთა და შრომის კოლექტივებს შორის იგი გახდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გამოცხადებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული.

— ჩვენი მედსანნაწილი თვით საწარმოზე უხნესია, — თქვა მთავარმა ექიმმა ფ. ჩიქოვანმა. — ორმოცდათოთხი წლის წინათ, როცა მშენებლები ის-ის იყო შეუდგნენ ქარხნის აგებას, მთელი მისი პერსონალი შედგებოდა ექიმისა და მედდისაგან. ახლა შტატში 439 თანამშრომელი, ქარხანას აქვს პოლიკლინიკა, რომელიც დღეში 1500 კაცს ემსახურება, 185-ადგილიანი სტაციონარი, საკუთარი სასწრაფო სამედიცინო დახმარება და აფთიაქი, თანამედროვე მოწყობილობა, ბაროკამერებიც კი...

აი, ჩვენი მედნაწილის ისტორია, ჩიქოვანმა კარადიდან გამოიღო სქელტანიანი საქაღალდე. — ყველანი ერთად ვწერდით, მაგრამ, მოდით ვნახოთ, როგორ არის დაყენებული მკურნალობა დღეს.

...ბაროკამერების განყოფილება აქაური მედიკოსების სიამაყეა.

— აი, ამ ჰერმეტულ კამერებში შედის ჟანგბადი, — თქვა ექიმმა ნ. ქუმშიშვილმა. — ჟანგბადით მკურნალობა მალიან ეფექტიანია გულისა და სისხლძარღვთა, ფილტვების დაავადების დროს, ხელს უწყობს წყლულების მოშუშებას.

შეძენილთა ხანში შესულ ქალთან — მარიამ ხარატონოვასთან, რომელიც სეანსის შემდეგ ისვენებდა. იგი დიმიტროვის ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდა. მძიმე ფორმის ტროფიკული წყლული ჰქონდა, დაუხმარებლად ადგომაც არ შეეძლო, ახლა კი თვითონ დადის.

ბაროკამერები, ისევე როგორც მედსანნაწილის სხვა მოწყობილობა, ქარხნის სახსრებითაა შეძენილი. მისი ხელმძღვანელობა უშუალოდ დაინტერესებულია, რომ ქარხნის მედ-სანნაწილის მუშაობა ეფექტიანი იყოს. და აი შედეგიც — შარშან 1982 წელთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა შორის დაავადება 10 პროცენტით შემცირდა.

რა თქმა უნდა, ეს მარტო მოწყობილობის წყალობით როდი ხდება. ქარხნისა და მედ-სანნაწილის ხელმძღვანელობა მჭიდრო კონტაქტით ეწევა სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ეხმარება მედიკოსებს მოემზადონ მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერიზაციისათვის.

ქარხნის მედ-სანნაწილის წარმატებული მუშაობის საწინდარია ის, რომ მის წინაშე არ დგას საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის პრობლემა.

— ყოველგვარი ტექნიკის, თვით დეფიციტური ტექნიკის შოვნა შესაძლებელია, — ამბობს ჩიქოვანი, — მაგრამ აი, კადრების დარგში გვეჭირდა. ვიზრუნეთ თანამშრომელთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ამაში დაგვეხმარა ქარხანა. დავნერგეთ მატერიალური წახალისების სისტემა. ჩვენთან მეცამეტე ხელფასიც არსებობს. აქ ძირითადად დიმიტროველ მუშათა ცოლები შრომობენ. ასე რომ, ქარხანა და მედ-სანნაწილი ერთი ოჯახია.

ზ. საფრაზიანი,
საქინფორმის კორ.

„საფესტივალო გვირილა"

ასე ეწოდება ხამხრეთ ოსეთის ნ. ოსტროვსკის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასოფლო სახახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბს.

ნორჩი ცხინვალელები გატაცებით მეცადინეობენ სექციებში „მეგობრები", „მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან", „სხვადასხვა ფერის ყელსახვევები", „გლობუსი". ისინი უამრავ წერილს იღებენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან. ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბს ხელმძღვანელობს ფატიმა გაზაევა, რომელსაც „არტეკის" მოსწავლეებთან და პიონერებთან მუშაობის სამი წლის გამოცდილება აქვს.

ერთი წლის შემდეგ, როცა მოსკოვში გაიხსნება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი, ცხინვალის „საფესტივალო გვირილას" ათი წელი შეუსრულდება.

სურათზე: კლუბის ხელმძღვანელი ფატიმა გაზაევა კლუბის წევრებთან.

ლ. ბუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-92-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-16, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-58-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-24-44; ზესტაფონი — 5-56-36, თელავი — 19-09; წითელწყარო — 22-66; ტყიბული — 25-62.

სასამართლო დარბაზიდან

ექვიანი კაცის ბედი

თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" ერთ-ერთ საამქროში რამდენიმე მუშამ იქვე სახელდახელო პურმარილი გააწყო და ბოთლი არაყიც გამოხნა. სუფრის ორი წევრი — ლებმა ქეიფი ფაბრიკის მახლობლად მდებარე სახინკლეში განაგრძეს. საღამოს კი ერთმანეთს დაშორდნენ. სუფრის ორი წევრი — გრიგოლ ლექავა და ლერი ხვედელიძე შორეული ნათესავები იყვნენ და დასაცილებლად ერთმანეთი არ ემეტებოდათ. გ. ლექავამ ლ. ხვედელიძე სახლში წაიყვანა. ლეინის სმა იქაც განაგრძეს.

გ. ლექავა ექვიანი კაცია, სიმთვრალეში კი განსაკუთრებით. ექვიანობის ნიადაგზე მკვლელობის მცდელობისათვის 1978 წელს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ძველმა სენმა იმ საღამოსაც გაიღვიძა და გ. ლექავას ეჭვი შეეპარა მისი მეუღლისა და სტუმრის დამოკიდებულებაში. არ იცოდა, რა ექნა. მეორე ოთახში გასულ მეუღლეს გაჰყვა და ხელი გაარტყა, შემდეგ კი შემობრუნდა, სადაც სუფრა იყო გაშლილი, აიღო პურის დანა და ლ. ხვედელიძეს გულში ჩაარტყა. დაჭრილმა გაქცევა სცადა, მაგრამ ახლა მეუღლის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. მკვლელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ლ. ხვედელიძე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

რამდენიმე დღის შემდეგ გ. ლექავა გამოცხადდა მილიციაში და განაცხადა მომხდარის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საჯარო სხდომაზე განიხილა გრიგოლ გრიგოლის ძე ლექავას სისხლის სამართლის საქმე და მიუსაჯა თხუთმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა, სამი წლის ვადით გასახლებით. როგორც განსაკუთრებით საშიშმა რეციდივისტმა შეფარდებული სასჯელის პირველი ხუთი წელი საპყრობილეში უნდა მოიხადოს, დანარჩენი კი განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.

ბ. ლელაძე.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

10 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოსწავლეთა შეხვედრა კოსმონავტ მფრინავ ვ. ა. ჯანიბეკოვთან. 10.20 — მხატვრული ტელეფილმი „დაჭერება". პირველი სერია. 11.25 და 19.15 — დოკუმენტური ტელეფილმები. 11.55 — კონცერტი. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.25 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — ნორჩთა შემოქმედება. 17.45 — გვეამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 18.15 — „ჰორიზონტი". 19.45 — დღეს მსოფლიოში; 20.00 — მორიგული და ახლობელი სიმღერა. 20.50 — „დაჭერება". მეორე სერია. 22.00 — „ვრემია" 22.35 — ხალხური მელოდიები. 22.50 — ჰოკეი. „შვეცის თასი". შვეცის ნაკრები — სსრ კავშირის ნაკრები. შესვენებისას — 23.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ცისფერი ჰექტრები". 9.35 და 10.35 — ისტორია. მე-5 კლასი. 10.05 და 14.10 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.40 — მ. ლერმონტოვის პოეზია. 12.20 და 14.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 12.40 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — ასტრონომია. მე-10 კლასი. 13.40 — ისტორია. მე-9 კლასი. 14.55 — ვარსკვლავთმრიცხველი. ტელეჟურნალი. 15.30 — ვ. ი. ლენინის სამი საბჭოთა დრამატურგიაში. 16.20 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — კონცერტი. 19.30 — სპორტი გასულ კვირაში. 20.00 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 21.00 — ფეხბურთი „სპარტაკი" — „ნეფტჩი". მე-2 ტაიმი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „მოულოდნელი სტუმარი". 00.05 ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — მხატვრული ფილმი „ერთგული მეგობრები". 11.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონებები დიდ დარბაზზე". 12.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ელმავალი". 13.25 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია გ. შირაქაძე). 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ა. ბათიაშვილი). 16.40 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ შეიძლება ცირკი არ გიყვარდეს". 17.25 — განცხადებები. 17.30 — კონცერტი „რას გვეამბობენ ძველი საათის ზანზალაკები". 18.00 — „კვალი ნათელი" — ვასილ ამაშუკელი (საქართველოს ტელევიზიის ფონდიდან). 18.20 — „სტუდენტური დღეები-84". „ყამირელები". ლიტერატურული გადაცემა. 18.00 — „კომუნისტები" — ომარ ბაზიარი. 19.25 — „ცეროდენას ეკრანი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — ახალგაზრდობისათვის — „მონოლოგი" — აკაკი წერეთელი. 21.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.40 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი" — „ქურაში დაგის იმედი". 23.00 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე". 23.15 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყარო გზის პირას". 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — მხატვრული ფილმი „სასწრაფო გამოძახება". 18.10 — მოსწავლეთათვის — ბიოლოგია.

თეატრი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა (47-ე აბონ. პირველი წარმ.). მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯავშნოსან ხიზნები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — 1832 წელი (მე-12 აბონ. მე-4 წარმ.); მეტეხის თეატრი — ალმოდებულ წვდილადში (პრემიერა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლეთაებრივი კომედია; მოზარდ მაყურებელთა ქართული — თავფარავნელის ბალადა (პრემიერა. № 47, 43 აბონ.).

ყაბახი

ფეხბურთის ამბები

8 აპრილს სტარტი აიღო პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატმა. იმ კოლექტივებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ორ საგზურს, საქართველოდან ასპარეზობს სამი გუნდი — ქუთაისის „ტორპედო", ლანჩხუთის „გურია" და ბათუმის „დინამო". აქამდე პირველ ლიგაში ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ ერთი ან ორი გუნდი მონაწილეობდა.

და აი, გაიმართა წლევანდელი სეზონის პირველი ტურის შეხვედრები. ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებმა შინ ითამაშეს. ქუთაისის „ტორპედომ" მიიღო ვოლგოგრადის „როტორი" და დიდი ანგარიშით დაამარცხა — 5:1. იმარჯვეს ბათუმელმა დინამოელებმაც, რომლებმაც მოუგეს შეხვედრა საკმაოდ ძლიერ მეტოქეს კრასნოდარის „კუბანს" — 1:0, ლანჩხუთის „გურიამ" მიიღო ნიკოლაევის „კოლოსი". ამ გუნდების დაძაბული შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივების სტარტი ურიგო არ გამოდგა. მეორე ტურის მატჩები გაიმართება 12 აპრილს. ამ დღეს ქუთაისელები უმასპინძლებენ „კუბანს", ბათუმელები — „როტორს", ლანჩხუთელები — ზაპოროჟიეს „მეტალურგს".

პირველი ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ვოროშილოვგრადის „ზარია"-სმოლენსკის „ისკრა" — 1:1, ორჯონიკიძის „სპარტაკი"-ზაპოროჟიეს „მეტალურგი" — 0:0, ჯიზაკის „ზვეზდა"-ომსკის „ირტიში" — 0:1, დუშანბეს „პამირი"-კემეროვოს „კუზბასი" — 1:0, კიშინიოვის „ნისტრუ"-ხაბაროვსკის ასკ — 2:1, სიმფეროპოლის „ტავრია"-მოსკოვის „ლოკომოტივი" — 0:1, ლვოვის სკა „კარპატი"-რიგის „დაუგავა" — 1:1.

იმის გამო, რომ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩების თარიღები რამდენიმე შეიცვალა, გთავაზობთ აპრილში გასამართავ შეხვედრათა ახალ განრიგს:

მეხუთე ტურის გადატანილი მატჩები გაიმართება 10 აპრილს: „სპარტაკი" — „ნეფტჩი", მინსკის „დინამო" — „შახტიორი".

მეექვსე ტური. 18 აპრილი. თბილისის „დინამო"-„ჩერნომორეცი", „დნეპრი" — „ფახთაქორი", „არარატი" — კიევის „დინამო", ცსკა — „ზენიტი", „ჟალგირისი" — „ქალგირისი"; **14 აპრილი.** „მეტალისტი" — „სპარტაკი", „შახტიორი", — მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „ტორპედო" — მინსკის „დინამო", **15 აპრილი.** „ნეფტჩი" — როსტოვის ასკ.

მეშვიდე ტური. 28 აპრილი. „შახტიორი" — „არარატი", როსტოვის ასკ — მინსკის „დინამო", თბილისის „დინამო" — „ნეფტჩი", „დნეპრი" — „მეტალისტი", მოსკოვის „ტორპედო", — ცსკა, „ფახთაქორი" — მოსკოვის „დინამო", კიევის „დინამო" — „ჟალგირისი" „ჩერნომორეცი" — „ზენიტი"; „სპარტაკი" — „ყაირათის" მეშვიდე ტურის მატჩი მოეწყობა 19 ივნისს.

აპრილში გაიმართება აგრეთვე ნაკრები გუნდების შეხვედრები. გთავაზობთ ამ მატჩების განრიგსაც: **18 აპრილი.** სსრ კავშირი-ჩეხოსლოვაკია (ამხანაგური შეხვედრა), **25 აპრილი.** სსრ კავშირი-უნგრეთი (ოლიმპიური შერჩევითი მატჩი). გარდა ამისა **28 აპრილს** მოეწყობა საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი „სპარტაკსა" და ვორონეჟის „ფაკელს" შორის.

კარპოვის მეტოქეა კასპაროვი

ბაქოელი დიდოსტატის დამაჯერებელი გამარჯვება

ვილნიუსი ვილნიუსში დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების გარი კასპაროვისა და ვასილ სმისლოვის მატჩი. მეცამეტე პარტია დასრულდა ყაიმით.

ამრიგად, გარი კასპაროვმა დამაჯერებელი ანგარიშით — 8,5:4,5 გაიმარჯვა და ანატოლი კარპოვთან მსოფლიო ჩემპიონობისათვის გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის საგზურს დაეუფლა. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქალთა შორის ეს უფლება რამდენიმე დღით ადრე ირინე ლევიტინამ მოიპოვა.

ნ. იოსელიანი — უძლიერესი

თბილისელმა ნანა იოსელიანმა ბრწყინვალედ იასპარეზა მოსკოვში გამართულ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე. მან 13 შესაძლებლიდან 10,5 ქულა დააგროვა და პირველ ადგილს დაეუფლა. უცხოელ მოჭადრაკეთაგან საუკეთესო იყო რუმინელი დანიელა ნუცუ, რომელიც გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა.

სურათზე: ნანა იოსელიანი.

სატურნირო ორბიტა

შაში. პოლანდიაში გრძელდება ამ ქვეყნის წარმომადგენლის ჰ. ვირსმასა და ვ. ვირნის (სსრ კავშირი) მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისათვის. მათი მეთხუთმეტე პარტია ყაიმით დამთავრდა და ახლა ანგარიშია 8:7 ვირსმას სასარგებლოდ.

ჭადრაკი. ლვოვში მიმდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის 5 ტურის შემდეგ ლიდერობს მოსკოველი ა. სოკოლოვი, რომელსაც 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

რაგბი. უზბეკეთის ქალაქ მარგილანში მეორე ტურის მატჩი თბილისის „ლოკომოტივმა" გამართა კაუნასის „სტაკლესთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 26:3. კენტაუში (ყაზახეთი) კი ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო კომბინატის გუნდის მეტოქე მეორე ტურში იყო კრასნოიარსკის „ენისეი-სტროი". ქუთაისელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 22:12.

ფიგურული ციგურაობა. ტაშკენტში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი. წყვილთა სრიალში ოქროს მედლები მოიპოვეს ლენინგრადელებმა ლ. სელეზნიოვამ და ო. მაკაროვმა, ერთეულთა შორის — ხარკოველმა ე. ვგოროვმა და სვერდლოვსკელმა ნ. ლებედევამ, ხოლო მოცეკვავეთა შორის უძლიერესნი იყვნენ მოსკოველები ე. ბატანოვა და ა. სოლოვიოვი.

ფარიკაობა. მინსკში დამთავრებულ ბელორუსიის თასზე რაპირისტ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ყველას აჯობა ორჯონიკიძელმა ოლღა ველიჩკომ. მან ფინალში დაამარცხა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კარნელია ჰანიში (გფრ).

წყალბურთი. სტოკჰოლმში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველობა მოიპოვეს აშშ-ს სპორტსმენებმა (7 ქულა). მეორე ადგილზე გავიდნენ საბჭოთა წყალბურთელები (6), მესამეზე — ავსტრალიელები (5).

ცხენოსნობა. მოსკოვში გამართულ კონკურისტთა საკავშირო ჩემპიონატზე სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს ლიტველმა სპორტსმენებმა — ლ. სკერისმა (უჯარიმოდ), ზ. შარკმა (3 საჯარიმო ქულა) და ე. კლიმოვასმა (8).

დ. შანშიაშვილი

77 წლისა ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, საბჭოთა არმიის ვეტერანი, ავიაციის გენერალ-მაიორი დიმიტრი გრიგოლის ძე შანშიაშვილი.

დ. შანშიაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის უანგარო სამსახურს, რომლის წევრიც 1928 წლიდან იყო.

დ. შანშიაშვილი დაიბადა 1907 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1926 წელს იგი მოხალისედ შევიდა საბჭოთა არმიაში და მის რიგებში განვლო გზა კურსანტიდან ავიაციის გენერალ-მაიორამდე.

1930-1933 წლებში სამხედრო სამსახურს გადიოდა ბელორუსიის სამხედრო ოლქის საავიაციო ნაწილებში. შემდეგ გაგზავნეს სასწავლებლად ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში, რომელიც 1937 წელს დაამთავრა. ომის წინ დ. შანშიაშვილი პოლიტიკურ სამუშაოზე იყო მფრინავთა სკოლის პოლიტგანყოფილების უფროსი, საავიაციო ბრიგადის კომისარი, საავიაციო დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

დიდმა სამამულო ომმა დ. შანშიაშვილს მოუსწრო საავიაციო დივიზიის კომისრის თანამდებობაზე, რომელიც იცავდა ქალაქ ლენინგრადს. ლენინგრადის ფრონტზე იგი დანიშნეს საჰაერო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად, მონაწილეობდა კარელიისა და საბჭოთა ესტონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ომის შემდეგ დ. შანშიაშვილი განაგრძობს სამსახურს შეიარაღებულ ძალებში პასუხსაგებ პოლიტიკურ თანამდებობებზე.

დ. შანშიაშვილი 1953 წლიდან იყო თადარიგში, აქტიურად მონაწილეობდა მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში, იყო ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს დ. შანშიაშვილის დამსახურება, დააჯილდოვეს იგი ლენინის ორდენით, ოთხი წითელი დროშის ორდენით, 1 ხარისხის სამამულო ომის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მრავალი მედლით.

დ. შანშიაშვილის — მამაცი ჯარისკაცისა და სოციალისტური სამშობლოს პატრიოტის ხათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა, ვინც მასთან ერთად იბრძოდა და მუშაობდა.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატი; ომის ვეტერანთა საბჭოს კომიტეტის თბილისის სექცია.

რედაქტორი
ა. ბედინეიშვილი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

1984 წლის 28 აპრილს 15 საათზე აწყობს ინსტიტუტში შემსვლელთათვის „ღია კარის დღეს"

ინსტიტუტის საქტო დარბაზში გაიმართება რექტორატის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა მომავალ აბიტურიენტებთან. ისინი ამომწურავ პასუხს მიიღებენ არჩეულ სპეციალობებთან დაკავშირებულ ყველა საინტერესო საკითხზე და ინსტიტუტში მიღების წესებზე. გაიმართება საუბრები ფაკულტეტების სტრუქტურის, მეცნიერების ცალკეული დარგებისა და მათი სპეციფიკის შესახებ.

შარშანდელი მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები ისაუბრებენ მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

15 აპრილს 12 საათზე, სააქტო დარბაზში (ილია ჭავჭავაძის გამზირი № 45) აბიტურიენტთა და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის აწყობს

„ღია კარის დღეს"

ინსტიტუტში მოსულ ახალგაზრდობას შეხვდებიან რექტორატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები და პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც პასუხს გასცემენ არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

გასული წლების მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები აბიტურიენტებთან ისაუბრებენ შესაბამისი საგნების ჩაბარების თავისებურებათა შესახებ და განმარტავენ გამოცდის მსვლელობასთან დაკავშირებულ ცალკეულ მომენტებს.

აბიტურიენტები მიიღებენ საჭირო ინფორმაციას უმაღლესი კატეგორიის მთარგმნელთა უმაღლესი კურსებისა და ახლად შექმნილი მთარგმნელობითი განყოფილების შესახებ.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07163 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.